ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4973200

ნომერი: AR1750956

თარიღი : 01.06.2020

გაცემის თარიღი : 04.06.2020

გაცნობის თარიღი : 04.06.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი 151 და მისი მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ უსტიაშვილო პ/ნ 61001007309
- ქ.ბათუმი,ზუბალაშვილის16

ორგანიზაცია:

- შპს "ჯი–თი მოტორს" კოდი: 206276340

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

"განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე"- ველში მონიშნეთ ყველა ის საკადასტრო ერთეული რომელზეც ხდება საპროექტო სამუშაოების განხორციელება.

წარმოადგინეთ უშუალოდ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი, დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით.

საპროექტო ტერიტორიაზე თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე (http://maps.tbilisi.gov.ge) ელექტრონული განცხადებები -> ხაზობრივი ნაგებობების ფენაში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა -ინტერნეტი. საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული სქემა.

ასევე საპროექტო ტერიტორიაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქისმიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით ( ხაზობრივ ნაგებობებში ) ვრცელდება ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელი და ინტერნეტ ქსელი, საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი სამსახურების მიერ გაცემული, თანხმობები საპროექტო სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით ( ასევე დამოწმებული სქემა).

ვინაიდან გარკვეული სამუშაოების განხორციელება ხდება დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე წარმოადგინეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა და შესაბამისი დანართები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ასევე ხდება საყრდენი კედლების მოწყობა , შესაბამისად დამატებით ატვირთეთ საპროექტო საყრდენი (გრუნტის შემაკავებელი) კედლის აქსონომეტრიული ნახაზი სრულად, მთლიანი კედლის ასახვით, დეტალური ზომების და კედლის მოცულობის დაფიქსირებით.

გაითვალისწინეთ, იმისათვის, რომ სამსახურმა საყრდენი კედლის საკითხი განიხილოს I კლასის კუთხით, საჭიროა იგი თავისი პარამეტრებით აკმაყოფილებდეს 20 კუბ.მ-მდე მოცულობის, 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობას.

არსებული ხე-ნარგავებიდან დაიტანეთ და დაიცავით მანძილი საპროექტო საყრდენ კედლებამდე.ხეებთან მიმართებაში უნდა დაიცვათ 3 მეტრიანი დაშორების სამშენებლო ნორმები, სხვა შემთხვევაში უნდა წარმოდგინოთ არსებული ხე–ნარგავების საექსპერტო დასკვნა და ტაქსაცია სადაც მითითებული იქნება თუ რომელი ხე–ნარგავი

..ფოტომონტაჟი "-ს ველში ატვირთულ დოკუმენტაციაში საკადასტრო კოდი მიუთითთ სწორად.
თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.